№ 142 14 ქრისტეშობისთვე, კვირა 1866—1875 14 ქრისტეშობისთვე, კვირა № 142

დროება

რედაქცია
ველიამინოვის ქუჩაზე, Ártem ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი
წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
Ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგიულ-ცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაახწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

ხელის-მოწერა 1876 წლისა

მოველავალს 1876 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც ამ 1875 წელს გამოდის.

რედაქცია ეცდება მხოლოთ, რომ, რამდენათაც იმისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მისცემენ, კიდევ უფრო საინტერეროო, უფრო სასარგებლო და საჭირო გახადოს თავის გაზეთი მკითხველებისათვის.

ხელის-მოწერა მიიღება თ ფ ი ლ ი ს შ ი—„დროების“ რედაქციის კანტორაში (ველიამინოვის ქუჩაზე, Ártem ჩაიგეშტოვის სახლებში) და აგრეთვე სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, Ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Дроэба.“*

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ქუთაისში — ივანე მესხთან და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთიკაში, ფოთში—ელ. ს. ბაბალოვთან, ახალ-სენაკს — ნიკ. დგებუაძესთან, ზუგდიდს—თ. ტარ. ალექ. დადიანთან, ოზურგეთს—თ. ანტ. ნაკაშიძესთან, ყვირილაში—მ. დავ. ღამბაშიძესთან, გორს—ვასილ დეკანოზოვთან, სიღნაღს—იოსებ სულხანოვთან და თელავს—თ. ლევან ჯანდიერთან.

	მან.	კაპ.
გაზეთის ფასი—გაგზავნით და გაუგზავნელად		
წელიწადში	8	— “
ნახევარ წელიწადში	4	და 50
სამის თვისა.	2	და 50
ერთის თვისა	1	— “

აქვე საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ მოველავალი წლიდამ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება, გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იკისრებენ.

ვთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვეევით იყოს დაწერილი.

საქართველო

დღიური

—

დღეს, კვირას, ქალაქის ბაზგეობაში დანიშნული იყო ქალაქის თავის არჩევანი.

კანდიდატებად ცხრა კაცი იყო ჩაწერილი; მაგრამ, რადგან შვიდმა კენჭის ყრაზე უარი სთქვა, დარჩა ორი: დიმიტრი ყიფიანი და იერემია არწრუნი.

კენჭის ყრით, დიმიტრი ყიფიანს ამოუვიდა 28 შავი კენჭი და 36 თეთრი; იერემია არწრუნის 29 შავი კენჭი და 34 თეთრი.

ქალაქის თავად ამორჩეულ იქმნა **დ ი მ ი ტ რ ი ი ვ ა ნ ე ს ძ ე ყ ი ფ ი ა ნ ი.**

***

ჩვენ მივიღეთ ოსმალოს საქართველოდამ შემდეგი ახალი ამბები:

ბათუმის მაზრის პროვინციებიდგან ვინც უბილეთოთ ჩამოვა ბათუმში, დაიჭერენ და ჯარიმას ახდევინებენო. ეს წესი ახლა შემოიღესო.

—

საოსამლო საქართველოში ფიცხელი ბრძანება მოვიდაო, რომ ყველა

ფელეტონი

სემირამიდა დედოფალი

—

(ბერძნულიდამ ნათარგმნი)

—ყველა ჩემ ცოლებზე ულამაზესი და უსაყვარლესი ხარ, ყველას მირჩევნიხარ, უთხრა ერთხელ ასურეთის მეფემ ნინმა სემირამიდას.—რა შეედრება შენს სიმშვენიერეს? შენთვის ყველაფერს დავთმობ დედა-მიწაზე!

— მოიფიქრე, მეფეო, რას ამბობ! მართლა რომ გთხოვო რამე, ამისრულებ?

— მთხოვე რაც გნებავს, ოღონდ შენს სიყვარულს ნუ მომაკლებ! სხვა ყველა ჩემი ცოლები მე არაფრად მიმაჩნია!

— მაშ კარგი. ყველა ცოლებს გაგდება და მარტო ჩემი სიყვარული რომ გთხოვო, ამისრულებ? მე მინდა მხოლოთ ერთი ვიყო შენი ცოლი, მინდა ვიყო თანამოზიარე შენის უფლებისა და დედოფალი ასურეთისა.

— დედოფალი? ბანა ახლაც დედოფალი არა ხარ? ბანა ახლაც არა ხარ ჩემი მბრძანებელი, მეფეთ მეფე?

— არა, უპასუხა სემირამიდამ, მე არ ემეფობ, მე ვარ მხოლოთ შენი საყვარელი მონა. თუ არ შენი ნებართვით, ჩემს ბრძანებას კაცი ყურს არ უგდებს...

— შენ გგონია, რომ უფლება კარგი და სასიამოვნო რამ არის!

— სასიამოვნოა იმისთვის, ვისაც ის არ გამოუცდია.

— მაშ გამოსცადე: დაიჭირე ჩემი ტახტი რამდენიმე დღით.

— ბაფრთხილდი, მეფეო, ერთობ ბევრს მაძლევ...

— არა, არა! სთქვა სიყვარულისაგან დამთვრალმა მეფემ. ბეკითხები: გინდა ერთი დღის განმავალობაში მთელი ასურეთის მეფე იყო?

— ყველა ჩემი ბრძანება ასრულდება?

— ერთი დღის განმავალობაში შენ იქნები სრული მფლობელი და გამგებელი ჩემი ხალხისა; ყველა შენი ბრძანება დაუყოვნებლივ ასრულდება.

— როდეს გადმომცემ ამ უფლებას?

— თუ გსურს, ხვალვე.

— კარგიო, სთქვა სემირამიდამ და მშვენიერი თავით გულზე მიეყრდნო ნინსა.

***

მეორე დღეს სემირამიდამ უბრძანა თავის მოახლეებსა, რაც საუკეთესო და ძვირფასი ტანთსაცმელი ჰქონდა, ის ჩაეცვათ იმისთვის. თავზე დაიდგა ოქროს გვირგვინი ძვირფასის თვალმარგალიტით შემკობილი. ამ ნაირად მოვიდა ნინთან.

ნინი აღტაცებაში მოვიდა თავის მეუღლის მშვენიერებით.

იმ წამსვე ბრძანება გასცა, რომ ყველა ვეზირები და წარჩინებული კარის-კაცები სასახლეში მოგროვილიყვნენ და მოეტანათ ოქროს საბეფო სკიპტრა. თვითონ სემირამიდას მოჰკიდა ხელი ხელში და წაიყვანა იმ ოთახში, სადაც ყრილობა იყო.

ყველანი პირქვე დაეცნენ მეფის წინ. ნინმა აიყვანა ტახტზე სემირამიდა და დასვა.

შემდეგ ზე ადგომა უბრძანა ვეზირებსა და კარის-კაცებს და გამოუცხადა, რომ მთელი დღის განმავალობაში ისე უნდა ემორჩილებოდნენ ყველაფერში სემირამიდას, როგორც თავის მეფეს, როგორც თვითონ იმას ემორჩილებიან.

***

ეს სთქვა, აიღო ოქროს სკიპტრა, მისცა ხელში სემირამიდას და ხმამაღლა უთხრა:

— დედოფალო, გაძლევ ჩემ უზენაესს უფლებას; აღიღე და ბრძანებლობდე. აქ ყველა შენნი მონანი ვართ და თვითონ მეც შენი მოსამსახურე მთელი დღის განმავალობაში. მინც შენს ბრძანებას არ აღასრულებს, დაჯიდე ვითარცა ხელმწიფის მოღალატეს!

ამ სიტყვების შემდეგ, ნინამ დაიჩოქა და სემირამიდამ ტკბილის და ნარნარის ღიმილით მოჰკიდა ხელი და ააყენა. ვეზირებმა და კარის-კაცებმა თითოეულად შეფიცეს ერთგულებასა და მტკიცეთ ყოველ იმის ბრძანების აღსრულებაში. ნინი მიუახლოვდა ტახტს და უთხრა სემირამიდს, რომ შენმა დიდებულად, მეფურის ღირსებით თავის დაჭერამ გამაკვირვაო.

— როცა ესენი ერთგულებაზე და ჩემი ბრძანების ასრულებაზე ფიცს ამბობდნენ, მაშინ მე იმას ვფიქრობდი—თუ რა ბრძანება უნდა მიმეცა თითოეულ იმათთვისო, სთქვა სემირამიდამ. მე მხოლოთ ერთის დღითა მაქვს უფლება და მინდა, რომ ეს დღე სასარგებლოთ გავატარო.

ნინმა გაიცინა. თავის დღეში ამისთანა მშვენიერი და საყვარელი არ მოსჩვენებია იმას სემირამიდა.

— ვნახოთ, სთქვა იმან, როგორ

დანარჩენი რედიფები ახლავე შეკრიბეთ და გამოაგზავნეთო; აგრეთვე რამდენიც მანდ თქვენს ხაზინაში ფულები იყოსო, ისიც სტამბოლს წარმოადგინეთო. მაგრამ ბათუმის სანჯახის ხაზინებში, არა თუ სტამბოლს გასაგზავნი ფულები დარჩაო, არამედ ადგილობრივ ჩინოვნიკებს ნახევარი წლის ჯამაგირიც ჯერაც არ მიულიათო.

—

ქობულეთლები ამბობენო, რომ, არა თუ ჩვენ ჯარში საომრათ წავალთო, ის რეა კაცი, რომელიც ამას წინეთ ძალით დაიჭირეს და სტამბოლს წაიყვანესო, იგინიც უნდა დაგვიბრუნონო.

—

ბათუმის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა და ქობულეთის სოფლებში ჯარს გზაენისო აეაზაკების დასაჭერათ და რედიფების გამოსაყვანათო, რადგანაც იმედი აქვსო, რომ თოფლის გამო ვერსად გაიქცეიანო.

—

ყველა მოგზაურს ოსმალოს ქვეშევრდომებს ცეცხლის გემებით მიმავალ-მომავალს, ყოველს ადგილზე, სადაც კი ეს გემები მიადგება, ბარგსაც და თვითონაც სჩხრეკენო, რომ წიგნი არ მიქონდეს რაო, რადგან, ახალი განკარგულების ძალით, ყველა ვალდებული არისო, რომ წიგნი ფოჩტით უნდა გაგზავნონო და თუ ვინმეს წიგნი უნახეს, მაშინვე დაიჭერენ და წიგნსაც ალარ დაუბრუნებენო.

* * *

ხვალ, ორშაბათს, თფილისის საზაფხულო თეატრში ქართული სცენის მოყვარენი, საზოგადოების თხოვნით, გაიმეორებენ უფ. ბ. სუნდუკიანცის კომედიას „პეპოს,“ და ამას გარდა წარმოდგენილი იქნება მოლიერის ერთ მოქმედებიანი კომედია „სგანარელი.“

* * *

მომავალი წლიდამ გაზეთი „თფილისის მოამბე.“ ყოველ დღე გამოვა.

რედაქცია ამ გაზეთში ბევრ ცვლილების მოხდენასა და გაუკეთესებას გპირდება.

* * *

ახალციხიდამ „თფილისის მოამბეში“ იწერებიან, რომ რამდენთამე პირთ ამ ქალაქში გამსესხებელ-შემნახველი კასსის (ბანკის) შედგენა განუზრახავთ. წესდება სექტემბერში დაუმზადებიათ და ახლა ადგილობრივი უეზდის უფროსის საშუალობით თფილისის ღუბერნატორისთვის წარუდგენიათ დასამტკიცებელად.

* * *

„სასოფლო ბაზეთში“ დაბეჭდილია პატარა შენიშნვა, რომლიდამაც ეტყობულობთ, რომ ბაჩნაძიანში ზოგიერთ გლეხებს ისეთი ხის ქალამნები (ბაშმაკები) შემოუღიათ, როგორიც საფრანგეთის გლეხებსა აქვთ. ეს ბაშმაკები ქახეთში პირველად უ. ვლ. ჯანდიერს მიუტანია; გლეხებს უნახავთ, მოსწონებიათ და თვითონაც გაუკეთებიათ; ძალიან კმაყოფილი არიან თურმე: ვისაც უნახავს, ყველას მოსწონებია.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორი, ქრისტეშობისთვის 8-ს

რასაკვირველია, შეტყობილი გექნებათ თქვენ ის უბედურება, რომელიც ამ თვის 2-ს მოხდა ფოთის ახლოს შაეს ზღვაზე; შეტყობილი გექნებათ, რომ ოციოდ კაცამდი და ბევრი ჩვენებური ვაჭრების საქონელი დაიღუპა.

ნათქვამია: ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ისე მოსდით ახლა ჩვენ ვაჭრებსაც: ახლა მოაგონდათ, ახლა გაიგეს, რომ შესაძლებელია ისე დაიჭირონ თავიანთი საქმეები, რომ ამ გვარ უბედურ შემთხვევებმა მათ საქონელს თითქმის არავითარი ზიანი არ მოუტანოს.

მე გამიგონია, რომ უცხო ქვეყნებში თითქმის ქათამი რა არის, ისიც კი საზღვეველ საზოგადოებაში აქვთ შეტანილიო და თუ ვინიცობაა, რამე ჭირი გაჩნდება და დაეხოცება, მაგდენ არაფერს იზარალებენ, რადგან საზოგადოება უზღავს იმათაო. საქონელს ხო როგორ დაანძრევენ ისე ალაგიდამ, რომ საზღვეველ საზოგადოებაში არ შეიტანონ.

ეს კეთილი და სასარგებლო საქმე ახლა გაიგეს ჩვენმა ვაჭრებმა და, როგორც გავიგე, გადაუწყვეტიათ, რომ შემდეგში საზღვეველ საზოგადოებაში შეუტანელად არაოდეს არც გაგზავნონ სადმე თავიანთი საქონელი და არც საიდამე მოიტანონ.

ა. თ—ი

რუსეთი

ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილის ანგარიშიდამ სჩანს, რომ 1874 წლის პირველს იანვარს რუსეთს 1,799,744,854 მანეთი სახელმწიფო ვალი ჰქონია. ამ რიცხვიდამ 1874 წლის განმავალობაში 16,415,970 მან. გაუსტუმრებია, ასე რომ 1 იანვარს 1875 წელის დარჩენილა 1,783,328,881 მანეთი.

* * *

ამ უკანასკნელ წელიწადებში ძალიან ხაბრად ისმის რუსეთის რკინის გზებზე სხვა და სხვა გვარი უწესობა; ერთი რომ თვითონ გზების გამგეობათ ვერ მიჰყავთ ხეირიანათ გამგეობის საქმე და მეორე ისეთი სუსტი ზედამხედველები არიან, რომ ხშირად საქონელი იკარგება და ამის გამო ვაჭრობას დიდი ზიანი ეძლევა; გაზეთებში იწერებიან, სხვათა შორის, რომ ხარკოვში რამდენიმე კაცი ალმოუჩენია პოლიციას, რომელთაც ამხანაგობა ჰქონდათ თურმე შედგენილი იმისთვის, რომ რკინის გზის ვაგონებზე მოეპარათ. ყველა ამ გარემოებას გზათ სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და ამ უწესობების მოსასპობელად ჯერ-ჯერობით ყველა რკინის გზებზე, ზედამხედველს გარდა, იმათი თანაშემწეები იქნებიან დანიშნულნი.

* * *

ერთი რუსული გაზეთი გვაცნობებს, რომ, რამდენიმე პირის თაოსნობით, პეტერბურღში ამჟამად ისეთი ახალი საზოგადოება სდგება, რომელსაც განსაკუთრებულ მიზნათ ექნება, რომ იქაურ მოსწავლე ღარიბ ქალებს თუ

იმეფებ და რა განკარგულებას გამოსცემ?

— ქარის ზდიანი ტახტთან მოახლოვდეს, ბრძანა სემირამიდამ.

ზდიანი წინ წამოდგა. ორმა მონამ სტოლი მოიტანეს და წინ დაუდგეს.

— სწერე! უთხრა იმას სემირამიდამ.

„ბაბილონის ციხის ზედამხედველს ეუბრძანებთ, რომ თავის თანამდებობა ამ წერილის მომტანს გარდასცეს. ამ ბრძანების აუსრულებლობისათვის ის სიკვდილით დაისჯება.“

— დაკეცე ეს ქაღალდი, სახელმწიფო ბეჭდით დაბეჭდე და მომეცი. დასწერე კიდევ:

„მეფის მონა-ქალების ზედამხედველს ეუბრძანებთ, რომ თავის თანამდებობა ამ წერილის მომტანს გადასცეს. ამ ბრძანების აუსრულებლობისათვის სიკვდილით დაისჯება.“

— დაკეცე ეს ქაღალდი, სახელმწიფო ბეჭდით დაბეჭდე და მომეცი. ქაღალდ დასწერე:

„სახელმწიფო ბაბილონის ჯარის სარდალს ეუბრძანებთ, რომ თავის თანამდებობა ამ წერილის მომტანს გადასცეს. ამ ბრძანების აუსრულებლობისათვის სიკვდილით დაისჯება.“

— დაკეცე ეს ქაღალდიც, დაბეჭდე და მომეცი.

ეს სამივე ქაღალდი აიღო სემირამიდამ და უბეში შეინახა. ნინი და ყველანი განცვიფრებით შესცქეროდნენ სემირამიდას.

— ბამიგონეთ, ბრძანა სემირამიდამ: განკარგულება მოახდინეთ, რომ ორი საათის შემდეგ ყველა წარჩინებული სახელმწიფო მოხელეები საჩუქრებით გამომეცხადნენ ისე, როგორც ჩვეულებაა ახალი მეფის გამეფების დროს. საღამოსთვის მეჯლიში მოამზადეთ. ახლა კი ყველანი წადით; ჩემთან დარჩება მხოლოთ ჩემი ერთგული მონა ნინი. თათბირი უნდა ვაკეთო ზოგიერთ სახელმწიფო საქმეებზედ.

* * *

როცა ყველანი გავიდნენ, სემირამიდა მიუბრუნდა ნინს.

— ხომ ჰხედავ, რომ ბრძანების გაცემა მეც შემიძლიან.

— ოჰ! მშვენიერო დედოფალო, ღიმილით უთხრა ნინმა. ძალიან კარგათ გცოდნიათ ბრძანების გაცემა. მაგრამ ნუ გამიწყრებით, თქვენმა ფერხთა მტვერმა უმდაბლესმა მონამ რომ კითხვა გაგიბედოთ: რა უნდა უყოთ იმ სამ წერილს, რომელიც თქვენ დაამზადეთ?

— თუმცა ვალდებულად არა ვხდი ჩემ თავს, რომ ჩემს მეფურ მოქმედებაში ვისმეს ანგარიში წარუდგინო, მაგრამ შენ მაინც გეტყვი, რომ მე ჯიბრი უნდა ამოვიყარო იმ პირებისა, რომელთაც ეს წერილი შეეხება.

— ჯიბრი უნდა ამოიყაროთ? რისთვის?

— პირველი—ციხის ზედამხედველი ბრუციანია და კუზიანი; მე იმის მეშინიან. მეორე—მეფის მონა-ქალების ზედამხედველი ცდილობს, რომ ჩემზე უკეთესი მონები (ცოლები) გიყიდოს და ამისთვის მძულს. მესამე კი თითქმის მთელი დღე გელაპარაკება შენ სახელმწიფო საქმეებზე და ამნაირად შენთან ყოფნის სიამოვნებას მაკლებს.

ამ სიტყვებმა აღტაცებაში მოიყვანა შეყვარებული ნინი.

— ქარგიო, სთქვა იმან, ეს სამი კაცი სწორეთ ღირსეულს დასჯას მიიღებენ.

* * *

ოტა ხანს შემდეგ ხელმწიფის მოხელეები და მოქალაქეები მოვიდნენ საჩუქრებით მოსალოცავათა. მდიდრებმა თვალ-მარგალიტი მოუტანეს დედოფალს, ღარიბებმა ყვავილები და ხილი. მხოლოთ მონები, რომელთაც სრულიად არა გააჩნდათ რა, თაყვანის ცემით უნდა დაკმაყოფილიყვნენ.

ამ მონებში იყო სამი ძმა, რომელნიც სემირამიდას მოჰყვნენ ქაკასიიდამ. როდესაც ისინი მიუახლოვდნენ ტახტს და მიულოცეს, სემირამიდამ დააყენა:

— ნუ თუ თქვენ არაფერი გაგაჩნიათ, რომ თქვენს დედოფალს უძღვნათ?

— ჩემს სიცოცხლეს გარდა, მე თქვენთვის არაფერი გამაჩნია, უთხრა პირველმა იმათგანმა—ზოპირმა.

— ჩემ ხმალს გარდა, რომელიც თქვენი მტრების შესამუსრავად მუდამ, მზათ არის, მე არაფერი გამაჩნია, უპასუხა მეორემ ასსარმა.

— ჩემ გაკვირვებას გარდა, რომელიც თქვენმა ხილვამ აღძრა ჩემში, მე თქვენთვის არაფერი გამაჩნია,— უთხრა მესამემ არტაბანმა.

— მონებო, უთხრა ამათ სემირამიდამ, ყველაზე უფრო ძვირფასი ძღვენი თქვენ მომიტანეთ. ამიტომ თქვენი უმადური არ დავრჩები:

— შენ, არტაბანო, მიძღვნე მე შენი ხრმალი, განა? წაიღე ეს ქაღალდი, მიუტანე ხელმწიფის ჯარის სარდალს და ნახამ რაც გამოვა.—

სწავლაში და თუ ცხოვრების გაადვილებაში ნიეთიერი შემწეობა მისცეს.

* * *

პეტერბურღშიეე სდგება, როგორც ამბობენ, მეორე საზოგადოება, რომელიც მუშა ქალებისათვის საზოგადო იაფ სადილების გამართვას აპირებს.

* * *

ნოემბრის 28-ს პეტერბურღში ყოფილა არა-ჩვეულებრივი სხდომა დაჩრილების და აკათმყოფი სამხედრო პირების მზრუნველი საზოგადოებისა, რომელზედაც გადაუწყვეტიათ, რომ ბოსნიელებისა და ბერცოგოვინელების ლაზარეთის გასამართავად 75,000 მანეთი გადასდვან.

უცხო ქვეყნები

ოსმალო. ბაზეთები გვაცნობებენ, რომ დიდი სახელმწიფოები დათანხმებულან ერთმანეთში, რომ მოსთხოვონ ოსმალოს შემდეგი ცვლილების მოხდენა თავის სახელმწიფოში: ა) რომ 1880 წლამდის დიდი ვეზირი არ გამოიცვალოს; ბ) რომ რამოდენიმე ახალი სახელმწიფოები შეადგინოს, რომელთაც, ცოტა გადასახადს გარდა, არა მოეკითხოს რა ხვანთქრისაგან; და თუ ასე არ ისურვა, მაშინ ოთხი მინისტერი: ფინანსის, იუსტიციის, შინაგანი საქმეების და უცხო ქვეყნების საქმეებისა უნდა იყოს ქრისტიანები; გ) იმ ექვს ხელმწიფის წარმომადგენელთ, რომელთაც 1856 წელს პარიჟის ტრაქტატზე უწერიათ ხელი, უნდა ექმნესთ ნება მიიღონ მონაწილეობა ხვანთქრის რჩევაში, ყოველი საქმის გადაწყვეტის დროს.“

ეს თუ ასე იქნა, არც მოისპობა ოსმალოს სახელმწიფო და ვერც რომელიმე სახელმწიფო მიითვისებს მას და ქრისტიანი ხალხებისათვის კი თითქმის დასაკმაყოფილებელი ცვლილება იქმნება.

ამ წინადადების თაობაზედ ჰქონდა მოლაპარაკება ზიჩის-ავსტრიის ელჩს, ხვანთქართან; მაგრამ ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილი ვერა უთხრარა. ამ საქმეზედა ჰკიდია ოსმალოს არსებობა და ამიტომ დიდი ფიქრი მჭირიანო, რომ გადაწყვეტილი პასუხი მოგცეო. ამის შემდეგ რუსის ელჩთან, იგნატიევთან შეკრებილან ავსტრიის და ბერმანიის ელჩები და ჰქონიათ მოლაპარაკება ამ საგანზედვე; მაგრამ საბოლოოთ ვერა გადაუწყვეტიათ რა.

—

ბოსნია და ბერცოგოვინა. ვენის ვაზეთები გვატყობინებენ, რომ ბოსნიიდგან გაუგზავნიათ დეპუტაცია დიდ ხელმწიფეებთან დაშველების სათხოვრათ, მეორეს მხრით იმასაც ვტყობულობთ, რომ ეს დეპუტაცია მარტო ავსტრიის იმპერატორთან იყოო გაგზავნილი. საზოგადოთ ავსტრია და ვენგრიაც მოწადინებული არიან, რომ გაერიონ ამ აჯანყებულების საქმეში, უფრო მიტომ, რომ ამ გზით მოელიან დალმაციის მოპოებას. იქნება ეს სურვილი იყოს იმის მიზეზი, რომ ვენგრიელები ძრიელ გულ-გრილათ და დაუნდობლათ უყურებენ იმ წინადადებას, რომ საქმე გათავდეს სხვა და სხვა ხალხებისაგან ამორჩეული კამისიით, რადგანაც ამ შემთხვევაში მარტო ავსტრიის და ვენგრიის ინტერესი არ ექნებათ სახეში.

— ერთს რუსულ გაზეთში სწერენ აჯანყებულების მდგომარეობაზედ რაგუზიდგან საშინელ შესაწუხებელ ამბებს; აი ერთი პატარა ადგილი იმ კორრესპონდენციიდგან:

„ცუდი ამინდის დროს, წვიმით არიან დასველებული ძვალიან-რბილიანათ, ავათმყოფები მაინც არ არიან; როცა წვიმა არ არის, მაშინ სხვა გასაჭირისაგან არიან შეწუხებული: წყურვილის მოსაკლავი წყალი არსად იშოვება. მთელი დღეები გადის ხოლმე, რომ საჭმელს ვერასა პოულობენ, და მეორე ჯარი არსად მოიპოვებოდეს იმათ ნაირად მხიარული. როცა კი თავს მოიყრიან, სიმღერა, ხუმრობა, ლაპარაკი და თამაში გაუთავებელი არის; მაგრამ არც ერთ მინუტს არ ავიწყდებათ, რომ თათრებისაგან მათი სახლი აოხრებულია და გაუპატიურებული, ცოლი უცხო ქვეყნებში არის გადამალული და სცხოვრობს ღვთის გულისათვის მოთხოვნილის პურით, დედა მისი თუმცა სახლში ზის, მაგრამ შიმშილი უმოკლებს დღეს. თავისუფლების გაგება და ის მტკიცე სურვილი, რომ იხსნას თავის სამშობლო მტრის ხელისაგან და უპოვოს თავისუფლება თავის ცოლ-შვილს აძლევს მას იმდენს ძალას და სიმაგრეს, რომ ამაყად იტანს ყველა ამ გაჭირვებას და არაფრათ აგდებს მტრის სიმრავლეს. მიეცით ამისთანა ხალხს თავისუფლება და ნუ შეეხებით მის მამულის და ოჯახის წმინდა სიყვარულს და მაშინ დაინახავთ — რა ნაირი მუშა და პატიოსანი ხალხი გამოვა მათგან.“

— უკანასკნელი ტელეგრამით ვტყობულობთ, რომ აჯანყებულებს უთხოვიათ, რომ ოსმალოსაგან მოცემული რეფორმები, დიდ სახელმწიფოებისგან იქმნეს დაცული. ეს თუ მართალია, ჰგავს, რომ აჯანყებულებს მაინცა და მაინც განთავისუფლება არ უნდათ, თუ რიგიანი რეფორმები მიიღეს ხვანთქრისაგან. მეორეს მხრით იმასაც ვტყუბილობთ, რომ ინგლისის უცხო ქვეყნის საქმეების მინისტერს, ლორდ დერბის უთქვამს სიტყვა, სადაც ამბობდა, რომ ეს საქმე მშვიდობიანათ გათავდებაო. თუმცა ჯერ-ჯერობით სიტყვის მეტი არაფერი საქმე ამ ნაირ ბოლოს არ აჩვენებს.

—

საფრანგეთი. პარიჟიდამ მოვიდა ამბავი, რომ ექვს ამ თვემდის 70 სენატორი ამოურჩევიათ და მომეტებული ნაწილი ამორჩეულებისა იმ პირებს ეკუთვნის, რომელნიც მარცხენა მხარის სიაში იყო მოხსენებული. მარჯვენა მხრიდგან იმისთანა პირები არიან, რომელნიც თავის პარტიების მოწინააღმდეგთ ითვლებიან და რომელთ ამორჩეულობა უფრო საკვნებელი იქნებოდა რესპუბლიკისათვის, ვინემ მათი სენატორობა.

— ერთხელ კიდევ უთქვამს უარი ნაციონალურ ქრებას კომუნაში მონაწილეობისათვის დასჯილი პირების პატიებაზედ.

ეხლა ნაკეს წინადადებით ყოფილა ამაზედ ბაასი. საკვირველია, ვერ გაიგეს, რომ უფრო ადვილია ამ ქრებისგან განთავისუფლდნენ, ვინემ ამ ქრებამ განათავისუფლოს ვინმე.

ნარევი

ახალი სამხედრო კანონის ძალით, სამხედრო სამსახურში მოსამსახურე შვეიცარიელებს აღკრძალული აქვთ სამხედრო ტანისამოსის (ფორმის) ჩაცმა და ორდენების ან სხვა რამ სამხედრო ნიშნების ტარება იმ დროს, როცა სამსახურში არ არიან. ველა აფიცრებსა და სალდათებს სამსახურს გარეთ, როგორც უბრალო მოქალაქეებს, ისე უნდა ეცვათ.

* * *

შენ, ზოპია, შენი სიცოცხლე მიძღვნე, განა? წაიღე ეს ქალალდი, მიუტანე ქალაქის ციხის ზედამხედველს და ნახავ, რაც გამოვა.— და შენ, ასსარ, შენი განკვირვება მიძღვნე, განა? წადი, წაუღე ეს ქალალდი შეფის მონა-ქალების ზედამხედველს და ნახავ, რაც იქნება.

* * *

თავის დღეში არ ყოფილა სემირამიდა ისეთი მშვენიერი, ისეთი მიმზიდველი, როგორც ახლა იყო, და თავის დღეში ნინს ისე არ მოსწონებია. იმის მშვენიერება და ლმობიერი სახე არც მაშინ შეცვლილა, როდესაც, რაღაც უბრალო მიზეზის გამო, ბრძანა, რომ ერთი მონისთვის თავი გაეგდებინებინათ.

მოაწია საღამომ. მეჯლიშის დროც მოვიდა. სემირამიდა რომ ზალაში მიდიოდა, ამ დროს ერთმა მონამ წარმოუდგინა იმას ვერცხლის დიდ თასზედ დადებული მოჭრილი თავი ხაზინადრისა.

— ბარგო, ბრძანა, წამოაცვე ეს თავი სარზე, შუა ეზოში დაარჭე, რომ ყველამ დაინახოს და ხალხს გამოუცხადე, რომ ამ თავის პატრონი ერთი საათის წინათ ცოცხალი იყო, მაგრამ ჩემი ბრძანების აუსრულებლობისათვის დაიღუპა-თქო.

მეჯლიში მეფურის სიუხვით იყო გამართული. მდიდრულად გაშლილ სუფრებზე ძვირფასი და იშვიათი საჭმელები მოჰქონდათ.

სემირამიდამ განგებ არივ-დარიეა სტუმრები: მდიდრები და ღარიბები; წარჩინებულ პირებს, ვეზირებს უბრალო მონები უსხდნენ გვერდით. სუყველაზე ბოლოს ნინი იჯდა. თავის გვერდით სემირამიდამ ზოპირი, პრტაბანი და ასსარი მოისვა.

— ასრულეთ თქვენ ჩემი ბრძანება? ჰკითხა იმათ.

— ავასრულეთო, უპასუხეს.

დიდხანს გაგრძელდა მეჯლიში. დიდხანს მხიარულებდა ხალხი. ერთი მოსამსახურე, რომელმანც შეცდომით რაღაც საჭმელი ჯერ ნინს მოართვა და მერე სემირამიდას, ამის ბრძანებით, იქვე გააწვინეს და წკეპლებით სცემეს. ამის ღრიალი სტუმრების სიცილ-ხარხარში და მხიარულებაში არ ისმოდა.

* * *

მეჯლიში რომ გათავდა, სემირამიდა წამოდგა და სთქვა:

— სახელმწიფო ხაზინადარმა წამიკითხა მე სია იმ პირთა, რომელთაც დღეს დილას სხვა და სხვა საჩუქრებით მომილოცეს მე გამეფება. ერთს კაცს გარდა, ამ სიაში ყველა მოხსენებულია.

— ვინ არის ეს ერთი? იკითხა მეფე ნინმა. ვინც უნდა იყოს, ღირსეული სასჯელის ღირსია.

— შენა ხარ!.. უპასუხა სემირამიდამ.— რა მიუტანე დღეს შენ საჩუქრად შენს დედოფალს?

ნინი ადგა თავის ადგილიდამ, მიეიდა სემირამიდასთან და რაღაც წაუჩურჩულა ყურში.

— დედოფალს ამ მონისაგან შეურაცხყოფილად მიაჩნია თავის თავი! მრისხანედ წამოიძახა სემირამიდამ.

— მუხლებზე გკოცნი! მაპატიე მშვენიერო დედოფალო, მაპატიე.

ცოტა ხანს შემდეგ მდაბალის ხმით უთხრა:

— დედოფალო, კმარა, გავათავოთ ეს ხუმრობა!

— შენ გინდა, რომ ტახტიდამ ხელი აიღო! აგრეთვე ხმა დაბლა უთხრა სემირამიდამ. ჯერ კიდევ ორი საათი მაქვს დრო... შემდეგ გამოგლიჯა ნინს თავის ხელი, რომელსაც ის კოცნიდა და ისევ ხმა-მაღლა სთქვა:

— არ ვაპატიებ მონას ამისთანა შეურაცხყოფას! თავხედო, მოემზადე სასიკვდილოთ!

— სულელი ბავშვი ყოფილხარ! წამოიძახა ნინმა და წამოდგა ფეხებზე. იხუმრე, მაგრამ უფრთხილდი: შენი მეფობა მალე გათავდება.

— მაშ შენ არ გაწყრები, რაც განკარგულება უნდა მოვახდინო ამ ერთ საათში?

— არა, არ გაეწყრები, უპასუხა მეფემ.

— მაშ კარგი. მონებო, მიუბრუნდა სემირამიდა იქ მდგომ მანებსა, მოკიდეთ ამ კაცს, ამ ნინს ხელი და წაიყვანეთ.

ნინმა გაიცინა. ის ნებით წაჰყვა ეზოში, სადაც ჩარჭობილი იყო სარზე წამოცმული ხაზინადრის თავი.

— წაიყვანეთ ეზოში; მოამზადეთ ყველაფერი, რაც კაცის თავის მოსაკვეთად საჭიროა და ჩემ ბრძანებას მოუცადეთ.

მონებმა ასრულეს დედოფლის ბრძანება. ნინი იმათ სიცილით გაჰყვა.

* * *

სემირამიდა გამოვიდა ბალკონზე. ნინს ხელები შეუკრეს.

— ბაიქეცი, ზოპირ, ქალაქის ციხეში, უთხრა სემირამიდამ. შენ პრტაბან, ჯართან იყავ და შენ, ასსარ, კარგათ დაიცევი სასახლის კარები.

სამთავეემ იმწამსვე შეასრულეს დედოფლის ბრძანება.

— მშვენიერო დედოფალო! მხიარულის ხმითა და სიცილით უთხრა ნინმა: კმარა, გავათავოთ ეს ხუმრობა.

— ახლავე, ახლავე! მონებო, გახსოვთ ხაზინადარი... ამასაც ისე გაგდებინეთ თავი!..

და სანამ ნინი ხმის ამოღებას მოასწრობდა, მონებმა შეასრულეს თავის დედოფლის ბრძანება და ნინის თავი მიწაზე წაგორდა. უკანასკნელი წამის ღიმილი კიდევ აჩნდა ამ საწყალს ტუჩებზე.

— ახლა კი ნამდვილი მეფე ვარ ასურეთისო, კმაყოფილებით დაიძახა სემირამიდამ,-და იცოდეთ, რომ ყველას, ვინცკი ჩემ ბრძანებას არ ასრულებს, ისევ დღე მოელის, რა დღეც ხაზინადარსა და ნინს დაუდგა!..

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ 3-Ს ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲑᲝᲠᲓᲝᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ (ᲙᲠᲔᲑᲐ) ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ; ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲰᲥᲠᲜᲘᲐᲗ ᲘᲛ ᲒᲖᲘᲡ ᲐᲒᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲡᲗᲐᲡ ᲣᲧᲐᲮᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜᲪ ᲔᲠᲝᲠᲞᲘᲡ ᲒᲔᲜᲘᲐᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲒᲔᲜᲘ ᲖᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲡᲙᲜᲔᲚ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲔᲑᲨᲘ. ᲔᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲨᲘᲠᲝᲜᲓᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲣᲬᲧᲔᲕᲘᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲚᲝᲜᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲮᲜᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲒᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝᲛ. ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲘᲜᲔᲚᲘ ᲚᲝᲜᲓᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲖᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲨᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ — ᲙᲐᲠᲚ ᲤᲝᲮᲢᲘ.

* * *

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲜᲐᲮᲔᲡ; ᲯᲔᲠ ᲔᲒᲝᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲒᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡᲗ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲥᲕᲔ ᲜᲐᲮᲔᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ, ᲣᲤᲐᲚᲔᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲙᲐᲪᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲣᲙᲚᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲔᲬᲔᲠᲐ:

„ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲝᲕᲙᲐᲚᲘ ᲛᲔ ᲩᲛ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲨᲘ; ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲚᲣᲠᲯᲐ. ᲐᲕᲜᲐᲙᲘᲓ ᲛᲘᲛ ᲩᲜᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲠᲡᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲛᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲐ.“

* * *

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲘᲠᲘ, ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲝᲓᲔᲡᲡᲐᲨᲘ: ᲔᲠᲗᲛᲐ ᲝᲪ-ᲓᲐ-ᲝᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲕᲐᲤᲛᲐ ᲐᲑᲐᲜᲝᲨᲘ ᲛᲝᲰᲙᲚᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲘᲗ. ᲔᲡ ᲕᲐᲤᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲯᲕᲐᲠ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ; ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲝᲓᲔᲡᲔᲚᲘ ᲕᲐᲤᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲨᲔᲘᲠᲗᲐ. ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲗᲚᲝᲗ ᲔᲛᲖᲐ ᲓᲔᲑᲝᲓᲐᲡ. ᲐᲛᲐᲡᲐᲪ ᲪᲐᲠᲐᲗᲘ ᲓᲐᲔᲓᲒᲝᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲘᲗ, ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲐᲠᲓᲘ ᲓᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲐᲕᲘᲢᲐᲜᲔᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲛᲣᲓᲛ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲙᲚᲔᲚᲘ ᲐᲜ ᲡᲣᲚᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲜ ᲡᲣᲚᲚᲝᲑᲘᲗ ᲣᲮᲐᲡᲘᲐᲗᲝᲗ ᲙᲐᲪᲘᲗ.

* * *

ᲔᲠᲗᲘ ᲘᲛᲔᲠᲔᲚᲘ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲒᲕᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲓᲐᲕᲒᲔᲛᲔᲓᲗ ᲒᲖᲐᲗᲨᲘ:

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲔᲠᲗᲘ ᲥᲣᲗᲐᲗᲣᲠᲘ ᲕᲐᲭᲐᲠᲘ Ш—ᲐᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲠᲘᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝᲗ; ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘᲗ (ᲡᲐᲜᲘᲗ) ᲛᲘᲜᲐᲕᲐᲚᲐ ᲡᲐᲓᲦᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐ. ᲛᲘᲬᲠᲝ ᲒᲖᲐ ᲘᲧᲝᲗ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲝᲠᲘ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲐᲠ ᲒᲐᲕᲚᲘᲓᲐᲗ. ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲧᲕᲘᲠᲘᲐᲗ: ᲒᲖᲐ ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗᲗ! ᲘᲛᲔᲠᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲗᲣᲗᲛᲘᲐ. ᲑᲐᲯᲯᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲛᲮᲢᲐᲠᲐᲜ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘᲓᲐᲛ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲣᲠᲗᲧᲐᲛᲗ ᲮᲡᲔᲑᲣᲚᲘ Ш—ᲐᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ Ш—ᲐᲡ „ᲘᲛᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲧᲔᲚᲨᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲐᲗ! ᲩᲮᲣᲑᲘ ᲛᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐᲗ!“ ᲘᲨᲘᲨᲕᲚᲐ ᲮᲠᲛᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲙᲚᲔᲕᲘᲨᲘ ᲓᲐᲡᲬᲠᲐᲗ ᲔᲠᲗ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲐᲗ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲘᲥᲪᲐᲗ; ᲐᲮᲚᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲣᲓᲒᲐᲗ, ᲛᲝᲚᲬᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲓᲐᲡᲬᲠᲐᲗ. ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲛᲐ ᲘᲩᲘᲕᲚᲔᲡᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘᲕᲔ ᲒᲐᲐᲛᲢᲧᲣᲕᲜᲐᲗ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

Правленіе Тифлисскаго Общества Потребленія и Торговли Кавказскими виноградными винами, желая войдти въ прямыя сношенія съ винодѣлами Кахетіи и другихъ мѣстъ Закавказскаго края, покорнѣйше проситъ ихъ доставлять пробы винъ, съ означеніемъ крайнихъ цѣнъ, въ г. Тифлисъ, въ подвалъ Общества на Головинскій проспектъ, въ домѣ Завріева. (2 – 3)

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(4 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲡᲝᲕᲠᲐᲓ)

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲐᲔᲓᲐᲜᲖᲔ, ᲩᲘᲢᲐᲮᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲓᲘᲚᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲛ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲘᲡ 1 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲘᲜ.

ᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ: ᲔᲥᲘᲛᲘ ᲢᲔᲚᲘᲐᲤᲣᲡᲘ — ᲥᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲠᲐᲚᲔᲕᲘᲩᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ — ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲙᲐᲠᲝᲕᲘ — ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ — ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ — ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲑᲠᲐᲖᲝᲕᲡᲙᲘ — ᲮᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤ., ᲢᲔᲚᲘᲐᲤᲣᲡᲘ — ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤ. ᲓᲐ ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ — ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲙᲐᲠᲝᲕᲘ — ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ — ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤ. ᲓᲐ ᲛᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ — ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲣᲤ. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲙᲣᲙᲘᲡ ᲮᲘᲓᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲔᲑᲘ.

ᲐᲠᲡᲔᲜ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲐᲙᲝᲑᲠ ᲜᲔᲠᲡᲔᲡᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲜᲘ:

	მან.	კაპ.
ᲑᲔᲭᲐᲜᲘᲐᲜᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ, 1875 წ.	—	10
ᲕᲐᲠᲓᲠᲓ-ᲑᲣᲚᲑᲣᲚᲘᲐᲜᲘ, თქმული ᲗᲔᲛᲣᲠᲐᲖ ᲛᲘᲤᲡᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ, 1875 წ.	—	5
ᲥᲐᲚᲗᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ, მეორე გამოცემა, 1875 წ.	—	5

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

	მან.	კაპ.
ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲡ ᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐᲓ ᲛᲘᲬᲕᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲜᲐᲮᲔᲡ; ᲯᲔᲠ ᲔᲒᲝᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲒᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡᲗ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲥᲕᲔ ᲜᲐᲮᲔᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ, ᲣᲤᲐᲚᲔᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲙᲐᲪᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲣᲙᲚᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲔᲬᲔᲠᲐ: „ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲝᲕᲙᲐᲚᲘ ᲛᲔ ᲩᲛ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲨᲘ; ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲚᲣᲠᲯᲐ. ᲐᲕᲜᲐᲙᲘᲓ ᲛᲘᲛ ᲩᲜᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲠᲡᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲛᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲐ.“		
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲘᲠᲘ, ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲝᲓᲔᲡᲡᲐᲨᲘ: ᲔᲠᲗᲛᲐ ᲝᲪ-ᲓᲐ-ᲝᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲕᲐᲤᲛᲐ ᲐᲑᲐᲜᲝᲨᲘ ᲛᲝᲰᲙᲚᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲘᲗ. ᲔᲡ ᲕᲐᲤᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲯᲕᲐᲠ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ; ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲝᲓᲔᲡᲔᲚᲘ ᲕᲐᲤᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲨᲔᲘᲠᲗᲐ. ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲗᲚᲝᲗ ᲔᲛᲖᲐ ᲓᲔᲑᲝᲓᲐᲡ. ᲐᲛᲐᲡᲐᲪ ᲪᲐᲠᲐᲗᲘ ᲓᲐᲔᲓᲒᲝᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲘᲗ, ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲐᲠᲓᲘ ᲓᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲐᲕᲘᲢᲐᲜᲔᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲛᲣᲓᲛ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲙᲚᲔᲚᲘ ᲐᲜ ᲡᲣᲚᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲜ ᲡᲣᲚᲚᲝᲑᲘᲗ ᲣᲮᲐᲡᲘᲐᲗᲝᲗ ᲙᲐᲪᲘᲗ.		
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲘᲠᲘ, ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲝᲓᲔᲡᲡᲐᲨᲘ: ᲔᲠᲗᲛᲐ ᲝᲪ-ᲓᲐ-ᲝᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲕᲐᲤᲛᲐ ᲐᲑᲐᲜᲝᲨᲘ ᲛᲝᲰᲙᲚᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲘᲗ. ᲔᲡ ᲕᲐᲤᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲯᲕᲐᲠ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ; ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲝᲓᲔᲡᲔᲚᲘ ᲕᲐᲤᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲨᲔᲘᲠᲗᲐ. ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲗᲚᲝᲗ ᲔᲛᲖᲐ ᲓᲔᲑᲝᲓᲐᲡ. ᲐᲛᲐᲡᲐᲪ ᲪᲐᲠᲐᲗᲘ ᲓᲐᲔᲓᲒᲝᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲘᲗ, ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲐᲠᲓᲘ ᲓᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲐᲕᲘᲢᲐᲜᲔᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲛᲣᲓᲛ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲙᲚᲔᲚᲘ ᲐᲜ ᲡᲣᲚᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲜ ᲡᲣᲚᲚᲝᲑᲘᲗ ᲣᲮᲐᲡᲘᲐᲗᲝᲗ ᲙᲐᲪᲘᲗ.		
ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐᲜᲘ, გამოცემა პირველი, 1873	—	5
ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘ, 1874 . . .	—	5
ᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲔ ᲐᲜᲣ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲜᲗᲘᲛᲝᲖ ᲭᲣᲚᲔᲚᲘᲡᲐ�გᲐᲜ 1875 . . .	—	15
ᲕᲔᲤᲮᲕᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡᲐ, მეექვსედ დაბეჭდილი, გამოცემული ᲐᲠᲡᲔᲜ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ, ᲛᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲐᲒᲝᲠ ᲜᲔᲠᲡᲔᲡᲝᲕᲘᲡᲐ�გᲐᲜ. 1875 . . .	—	50

ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲜᲘ

	მან.	კაპ.
ᲚᲝᲪᲕᲐᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲜᲘ. ᲒᲐᲛᲝᲪ. ᲛᲔᲝᲠᲔ 1875	—	5
ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ, მოთხრობა ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲭᲝᲜᲥᲐᲫᲘᲡᲐ, 1875	—	20
ᲡᲐᲛᲘᲯᲜᲣᲠᲝ ᲛᲘᲬᲔᲠ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲥᲐᲚ. ᲕᲐᲭᲔᲡᲐ, 1875 . . .	—	5
ᲔᲗᲔᲠᲘᲐᲜᲘ, ᲐᲑᲔᲡᲐᲚᲝᲛ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, შედგენილი პ. ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ�გᲐᲜ, 1875 .	—	5
ᲭᲘᲐᲜᲣᲠᲘ, გამოცემა პირველი 1875	—	10

ᲡᲢ. ᲖᲐᲠᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲜᲘ

	მან.	კაპ.
ᲡᲐᲣᲛᲬᲕᲘᲚᲝ ᲙᲝᲜᲐ, შედგენილი Ი. ᲑᲝᲒᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ�გᲐᲜ 1875	—	30
ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ „ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ ᲡᲘᲪᲠᲣᲪᲘᲡᲐ�გᲐᲜ“, თქმული ᲡᲐᲑᲐ ᲠᲣᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐ�გᲐᲜ, 1874 .	—	5
ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲗᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, შედგენილი პ. ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, 1874 .	—	5
ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘ, ᲙᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ, გამოც. Დ. ᲚᲐᲖᲐᲠᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲙ. ᲙᲝᲑᲐᲚᲐᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 1875	—	60
ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲐᲠᲘ .	—	40
ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ ᲡᲘᲪᲠᲣᲪᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ, თქმული ᲡᲐᲑᲐ ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲠᲝᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, გამოც. პ. ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ 1871 . .	—	50
Თ. ᲒᲠ. ᲠᲝᲑ. ᲚᲔᲥᲡᲘᲔᲑᲘ, გამ. პ. ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ 1873 .	—	50
ᲓᲐᲘᲗᲘᲐᲜᲘ, თქმული ᲖᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, წიგნი პირველი, 1873 . .	—	50
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, პირველი რეალური, შესავალი, ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲐ. თხზულება ᲓᲘᲛ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫ